მიტროპოლიტი ილარიონი: იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალი კანცლერის პირობებში რუსეთსა და გერმანიას შორის ურთიერთობა თანდათანობით განვითარდება

გადაცემის – „ეკლესია და მსოფლიო“ – წამყვანის თხოვნით, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ კომენტარი გააკეთა გერმანიის ფედერალური კანცლერის ანგელა მერკელის თანამდებობიდან წასვლაზე, პირველ ქალ პოლიტიკოსზე, რომელიც ამ თანამდებობას 16 წელი იკავებდა.

„ანგელა მერკელი, უდავოდ, გამორჩეული პოლიტიკოსია. ახალი გერმანიის ისტორიაში მას კონრად ადენაუერთან, ჰელმუტ კოლთან და სხვა გამოჩენილ მამაკაც პოლიტიკოსებთან თანაბარ დონეზე აყენებენ“, – აღნიშნა ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა.

მისი სიტყვებით, ბოლო წლებში გერმანია ძალიან შეიცვალა, „მაგრამ შეიძლება თუ არა ეს ცვლილებები ანგელა მერკელს მიეწეროს ან მას დაბრალდეს – ეს არის კითხვა, რომელსაც ექსპერტებმა უნდა გასცენ

პასუხი“. „ახლა ბევრს წერენ იმის შესახებ, რომ ახალი გერმანიის ბუნდესტაგში იქნება ორი ტრანსგენდერი დეპუტატი, ანუ ორი ქალად გადაქცეული მამაკაცი. ეს ანგელა მერკელის დამსახურებაა თუ მისი ბრალია? ან იქნებ ანგელა მერკელს ამასთან არაფერი აქვს საერთო? ვფიქრობ, ყველაზე მეტად აქ საუბარი მიდის იმ ტენდენციებზე, რომლებიც უფრო საგრძნობი ხდება დასავლურ საზოგადოებაში და იწვევს ასეთი სახის მოვლენებს. და უკვე არცერთ პოლიტიკოსს, თუნდაც ამ მასშტაბის პოლიტიკოსს, ამ მოვლენების შეჩერება არ შეუძლია“, – განაცხადა მიტროპოლიტმა ილარიონმა.

ანგელა მერკელზე საუბრისას, სსკგ-ს თავმჯდომარემ მას წარმომადგენელი უწოდა „პოლიტიკაში ისეთი მიმართულებისა, რომელიც ბისმარკის დროიდან გერმანულ ენაში აღინიშნება სიტყვით Realpolitik, ეს არის რეალური პოლიტიკა, რომელიც დაფუძნებულია არა იდეოლოგიურ შეხედულებებზე ან ცრურწმენებზე, არამედ პირველ რიგში საკუთარი ხალხის კეთილდღეობის წარმოდგენაზე და პოლიტიკურ პრაგმატიზმზე“.

„ანგელა მერკელს ევროკავშირის ინტერესებსა და საკუთარი ქვეყნის ინტერესებს შორის ბალანსირება შეეძლო. შემთხვევითი არ არის, რომ ყველაზე კრიტიკულ მომენტებშიც კი, იგი აგრძელებდა და არასოდეს შეუწყვეტია დიალოგი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინთან, რომელთანაც, როგორც მე ვფიქრობ, მას საკმაოდ თბილი და მეგობრული ურთიერთობა ჩამოუყალიბდა. იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალი კანცლერის პირობებში რუსეთსა და გერმანიას შორის ურთიერთობა თანდათანობით განვითარდება“, – დაასკვნა მიტროპოლიტმა ილარიონმა.

გერმანიაში საპარლამენტო არჩევნები 26 სექტემბერს გაიმართა. ბუნდესტაგის არჩევნებში გამარჯვება გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ (გსდპ) მოიპოვა.

სსკსგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88179/